

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო  
საბიუჯეტო კომისიის სხდომის  
ოქმი №30**

4 ნოემბერი 2022 წ.  
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე  
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე, ირაკლი ნადირაძე, ანა გოგოლაძე, საბა ბუაძე, აკაკი ალადაშვილი, დავით ფარცვანია, ნინო წულაძე.

**მონვეული სტუმრები:**

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე  
საფინანსო საქალაქო სამსახურის მოადგილე -ლევან მიქავა  
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი-ირაკლი თავართქილაძე

**სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.**

**კომისიის სხდომა უფლებამოსილია.**

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (02.11.2022; 12-032230646-03)
2. ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, ბაქოს ქუჩა N1ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.08.003.055.01.528) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(13.10.2022 #032228693)
4. ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.013.024.01.045) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 13.10.2022 #032228693)
5. ქალაქ თბილისში, ხომარაულის ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.130) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (13.10.2022 #032228693)
6. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-8 კვარტლის კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.001.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (02.11.2022 12-032230644-03)
7. ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. 02.11.2022 12-032230644-03)
8. ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(26.10.2022 12-032229967-03)
9. ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე 26.10.2022 12-032229966-03)
10. „ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N71-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2200 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.004.062) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.(13.10.2022 #16-032228688-03)
11. ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, II მიკრო/რაიონში არსებული 7007 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.07.016.042)-გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (13.10.2022 #16-032228691-03)

12. ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N37, კორპუსი N1ა-ში მდებარე 23.08 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.14.003.008.01.538) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე(24.10.2022 12-03222974-03)

13. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.14.011.190) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლუი კოფისთვის“ (ს/ნ: 425363518) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (13.10.2022 12-032228690-03)

14. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N26-34-ის მიმდებარედ არსებული 2172 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.007.023) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კალტისთვის“ (ს/ნ: 405480055) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.13.10.2022 16-032228690-03)

15. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 7 კვ.მ ფართობის და ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N9-25-ის მიმდებარედ არსებული 173 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან 16 კვ.მ ფართობის (საკადასტრო კოდი: 01.16.05.031.029) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ კახნიაურისთვის (პ/ნ: 01011013417) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე(13.10.2022 16-032228690-03)

16. ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N41-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.12.003.036) პირდაპირი განკარგვის წესით რომიკ კაბაჯიანისთვის (პ/ნ: 01002025535) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

17. „ქალაქ თბილისში, დიდ დიდომში, კორპუსი №29-ის მიმდებარედ 4443 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.07.004.077) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“(02.11.2022 12-032230643-03)

18. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე №01.14.06.003.015 და №01.14.06.003.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „კავშირი-ასოციაცია აგორასთვის“ (ს/კ: 202248175) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 29 აგვისტოს ხელშეკრულებასთან გათანაბრებულ №61.01172416 ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ „კავშირი-ასოციაცია აგორას“ (ს/ნ: 202248175) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.(02.11.2022 12-032230668-03)

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და გიორგი ირემაძეს (პ/ნ 01024056416) შორის, 2019 წლის 18 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-451-10-23163 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე(13.10.2022 12-032228692-03)

20. ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი 11ა-ში მდებარე 10327კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: 01.12.01.004.037) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ: 400160053) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

#### **დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**მოისმინეს:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ.

**გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება გადასახდელების ნაწილში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის ჯამური მოცულობა რჩება უცვლელი და შეადგენს 1 559 866,6 ათას ლარს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: **იზრდება** გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) ქვეპროგრამის ასიგნებები – 280,0 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) პროგრამის ასიგნება - 350,0 ათასი

ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს (კოდი 02 09 15) ქვეპროგრამის ასიგნება - 100,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 120,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნება - 1 400,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) ქვეპროგრამის ასიგნებები - 231,6 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) - 30,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 17 07) - 5,4 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 162,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) - 240,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) - 250,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 180,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) - 164,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) - 47,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 236,9 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) - 186,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 230,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) - 370,0 ათასი ლარით.

**მცირდება** გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 32,0 ათასი ლარით, საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) - 230,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) - 120,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 7,2 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 80,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 230,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 2 812,4 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნება - 10,2 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 60,1 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 120,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 180,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 164,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 52,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) - 400,0 ათასი ლარით, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) პროგრამის ასიგნებები - 47,0 ათასი ლარით, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) - 38,0 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 485 087,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 74 779,5 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 379 987,1 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 840 965,0 ათასი ლარი, მათ შორის:

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 214 000,0 ათასი ლარი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 20 000,0 ათასი ლარი;
- მიწაზე ქონების გადასახადი - 16 000,0 ათასი ლარი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი - 590 965,0 ათასი ლარი.

გრანტები 302 653,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 881,3 ათასი ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 505,0 ათასი ლარი;
- გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან - 1 017,5 ათასი ლარი;

- კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 290 000,0 ათასი ლარი;
- სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 10 250,0 ათასი ლარი. ☑ სხვა შემოსავლები 236 368,3 ათასი ლარი, მათ შორის:
- შემოსავალი საკუთრებიდან – 11 810,0 ათასი ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 59 000,0 ათასი ლარი;
- სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 65 000,0 ათასი ლარი;
- სანებართვო მოსაკრებელი - 11 022,3 ათასი ლარი;
- სხვადასხვა შემოსავლები – 39 536,0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 559 866,6 ათასი ლარით.

**მომხრე-8 თავი შეკავა -საბა ბუაძემ, ანა გოგოლაძე, ნინო წულაძემ. ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.

**გაიოზ თალაკვაძემ** კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 1 077,474.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 054,787.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 97.9%. **შემოსავლები-** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 9 თვის გეგმა 1 019,964.8 ათასი ლარი, ფაქტიურად 966,200.1 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 94.7% და მთლიანი - შემოსულობების 91.6% შეადგინა. გადასახადების სახით ბიუჯეტში მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მობილიზებულია 656,151.7 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (9 თვის ფაქტი - 563,113.9 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 93,037.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 443,548.9 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 385,064.2 ათასი ლარი) შედარებით 58,484.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 212,602.8 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 208,818.6 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 945.9 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 2,838.4 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 178,049.7 ათასი ლარი) შედარებით 34,553.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2021 წლის 9 თვის ფაქტი - 175,290.3 ათასი ლარი) .

**გრანტები.** საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 142,129.8 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 141.5 ათასი ლარი (მათ შორის 2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების N6024-GEO ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ), ხოლო სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 141,988.3 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი

ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 378.9 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან - 1,017.6 ათასი ლარი (სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (ს/6205298211) მიერ სახაზინო ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის და მიმდინარე წელს მიღებული შემოსავლის (სს „არდი დაზღვევას“ მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩარიცხული თანხები) ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 138,874.1 ათასი ლარი

**სხვა შემოსავლები** . საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 177,525.3 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 167,918.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 94.6%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 156,584.1 ათასი ლარი) შედარებით 11,334.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად სათამაშო ბიზნესის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე და სანქციებზე (ჯარიმები და საურავები) მოდის. მათ შორის: პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 6,971.2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (5,898.2 ათასი ლარი) შედარებით 1,073.0 ათასი ლარით მეტია. რენტის სახით მობილიზებულია 4,273.9 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელიდან - 2,868.6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,405.3 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 94,499.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (92,039.7 ათასი ლარი) 102.7%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელიდან მთლიანობაში მიღებულია 11,336.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (8,400.0 ათასი ლარი) 135%-ია. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 10,248.6 ათასი ლარი, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 47,121.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (45,000.0 ათასი ლარის) 104.7%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (30,580.2 ათასი ლარი) შედარებით 16,541.1 ათასი ლარით მეტია.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 1,031.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (960.0 ათასი ლარი) 107.4%-ია. სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელიდან მიღებულია 83.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (150.0 ათასი ლარი) 55.3%-ია.

მომსახურების გაწვიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 795.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (713.0 ათასი ლარი) 111.6%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 782.2 ათასი ლარი, შემოსავალი მანქანადანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 0.2 ათასი ლარი, შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ქონების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 0.1 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწვიდან - 13.3 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 56,372.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (40,000.0 ათასი ლარი) 140.9%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (36,996.0 ათასი ლარი) შედარებით 19,376.6 ათასი ლარით მეტია, რაც ძირითადად საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ჯარიმებზე მოდის. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 36,698.6 ათასი ლარი (2021 წლის 9 თვის ფაქტი - 24,596.8 ათასი ლარი), დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 2,897.5 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 4,895.8 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 394.9 ათასი ლარი, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის საანგარიშო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის - 2,438.1 ათასი ლარი (2021 წლის 9 თვის ფაქტი - 298.3 ათასი ლარი), დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში (BUS LINE) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის,

გაჩერების ან დგომისათვის - 1,891.4 ათასი ლარი (2021 წლის 9 თვის ფაქტი - 494.9 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 1,084.5 ათასი ლარი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 851.0 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 1,291.0 ათასი ლარი, სხვა ჯარიმები - 3,929.9 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში** ჩარიცხულია 88,509.0 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 32,852.9 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 8,473.2 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 24,331.9 ათასი ლარი, მანქანა დანადგარები და ინვენტარიდან - 47.7 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 234.6 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 55,421.5 ათასი ლარი.

**ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია** 67.1 ათასი ლარი, მათ შორის: 65.4 ათასი ლარი ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება), ხოლო სხვა დებიტორული დავალიანების სახით - 1.7 ათასი ლარი.

**2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები**

საანგარიშო პერიოდში გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 148,825.3 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 981,102.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85%-ი და აღებული წლიური ვალდებულების (1 290,393,7 ათასი ლარი) 76%-ია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 282,958.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (297,832.4 ათასი ლარი) 95%-ია;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 147,870.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (202,518.2 ათასი ლარი) 73%-ია;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 135,240.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (165,213.8 ათასი ლარი) 81.9%-ია;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 15,316.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (16,271.2 ათასი ლარი) 94.1%-ია;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 28,942.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (29,472.0 ათასი ლარი) 98.2%-ია;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 116,748.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (122,919.6 ათასი ლარი) 95%-ია;

განათლება - 141,601.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (165,676.6 ათასი ლარი) 85.5%-ია;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 27,879.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (46,131.9 ათასი ლარი) 60.4%-ია;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3,524.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (4,187.0 ათასი ლარი) 84.2%-ია;

ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 81,020.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (98,602.7 ათასი ლარი) 82.2%-ია.

2022 წლის 9 თვეში ნაშთის ცვლილების (ნაშთის გამოყენება) სახით ასახულ იქნა 71,350.5 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 73,685.2 ათასი ლარი.

**კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია** თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ.

**დღის წესრიგით წარმოდგენილი ქონების საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ბაქოს ქუჩა N1ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.08.003.055.01.528) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით - პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბაქოს ქუჩა N1ა-ში, მესამე სართულზე, მდებარე 27.69 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.13.08.003.055.01.528), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნანა ჩხილაძეს (პ/ნ 01024031144), რომელიც შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ 2008 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

**მომხრე-11 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.013.024.01.045) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, რაფაელ აგლაძის ქუჩა N1-ში, მე-11 სართულზე მდებარე 129.80 კვ.მ ფართის ბინა N45-ი (საკადასტრო კოდი: N01.13.05.013.024.01.045) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაეცემა ნელი ჩოჩიას (პ/ნ: 62001002453) . რომელიც ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 24 აპრილის N06.30.123 დადგენილებით აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპულ ჯუმბერ ბეთაშვილის ოჯახის ოთხ წევრს (მეუღლე ნელი ჩოჩია, შვილი მედეა ბეთაშვილი და ორი შვილიშვილი) გამოეყო დროებით, აფხაზეთში დაბრუნებამდე. ჯუმბერ ბეთაშვილი იყო აფხაზეთის მთავრობის აღმინისტრაციის უფროსი, ომის დროს- სახელმწიფო მდივანი. იგი 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, დახვრიტეს ჟიული შარტავასთან ერთად. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 13 მარტის N176 განკარგულებით, სიკვდილის შემდეგ, დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილება N112-ით ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვისა და ე.წ ივერთუბნის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭა ჯუმბერ ბეთაშვილის სახელი, აგრეთვე თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, აფხაზეთის N2 საჯარო სკოლას მიენიჭა ჯუმბერ ბეთაშვილის სახელი.

მოქალაქე ნელი ჩოჩიამ 2010 წლის სექტემბერს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობას მიმართა განცხადებით თავისი საცხოვრებელი ბინის უსასაყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თხოვნით. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 27.09.2010 წლის N74 განკარგულებით უარი ეთქვა აღნიშნული ბინის პრივატიზაციაზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა ვერც დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ახორციელებს მითითებული ბინის პრივატიზაციას.

**მომხრე-11 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.130) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ხოშარაულის ქუჩა N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.05.004.130) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 4 პირს (ოჯახს) , რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მატ საკუთრებაში გადაეცემათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები კერძოდ: დიანა ჩახვაშვილი (პ/ნ 01007011490) დაკავებული ფართი - 70.55 კვ.მ და 18.88 კვ.მ; ივანე მოწონელიძე (პ/ნ 01007007579) დაკავებული ფართი - 89.07 კვ.მ, 7.09 კვ.მ და 9.1 კვ.მ; ოკსანა გრაჩევა (პ/ნ 01117064471) დაკავებული ფართი - 27 კვ.მ; პლატონი ფრანგიშვილი (პ/ნ 01007015037) დაკავებული ფართი - 79.75 კვ.მ და საპირფარეო 2.33 კვ.მ; აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 303.77 კვ.მ.

**მომხრე-11 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-8 კვარტლის კორპუს N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.001.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივი, კვარტალი 8, კორპუსი N7, მესამე სართულზე მდებარე 30.34 კვ.მ ფართის ბინა N20-ი (საკადასტრო კოდი:

N01.19.20.025.001.01.020)) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე იზოლდა ღარიბაშვილს (პ/ნ 01027001750) , რომელიც შსს ცნობითა დანოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ იზოლდა ღარიბაშვილი 1995 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

**მომხრე-11 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს : ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

**ირაკლი თავართქილაძის** განმარტებით, ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ჩიხი N12ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.161) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 11 პირს (11 ოჯახს) , რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, (11 პირს (11 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები კერძოდ: ალექსი მარუქაშვილი (პ/ნ 08001023083) დაკავებული ფართი - 54.73 კვ.მ; გიორგი სადალაშვილი (პ/ნ 01001056588) დაკავებული ფართი - 110.22 კვ.მ; ივანე თედელური (პ/ნ 01034001041) დაკავებული ფართი - 28.1 კვ.მ; ლიკა ბერიშვილი (პ/ნ 51001019753) დაკავებული ფართი -69.25 კვ.მ; მირიანი ბუნტური (პ/ნ 24001050123) დაკავებული ფართი - 32.79 კვ.მ; ნინო ჩაგელიშვილი (პ/ნ 43001032296) დაკავებული ფართი - 57.92 კვ.მ; ნინო ხოკრიშვილი (პ/ნ 24001012105) დაკავებული ფართი - 81.86 კვ.მ; ნუნუ ყაველაშვილი (პ/ნ 18101075324) დაკავებული ფართი - 52.38 კვ.მ; ჟუჟუნა აგაშენაშვილი (პ/ნ 16001007611) დაკავებული ფართი - 43.78 კვ.მ; რუსუდან პავლიაშვილი (პ/ნ 24001025627) დაკავებული ფართი - 27.99 კვ.მ; აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 559.02 კვ.მ ფართი შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი“ კრების ოქმით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ 2009-2010-2011-2012 წლებიდან.

**მომხრე-11 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

**ირაკლი თავართქილაძის** განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების (საერთო ჯამში: პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, დანართი N1-ში მითითებულ პირთათვის საკუთრებაში გადაეცემასთან დაკავშირებით. მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში 2007-2008 წლებიდან ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. 10 პირს(10 ოჯახს) გადაეცემა საერთო ჯამში 744,78 კვმ საცხოვრებელი ფართი

**მომხრე-11 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანა.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 3 პირს (3 ოჯახს) , რომლებიც შსს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება რომ 11-12 წელია ფლობენ და სარგებლობენ მათ მიერ დაკავებული ფართებით.

